საქართველოს მთავრობის

დადგენილება №475

2019 წლის 30 სექტემბერი

ქ. თბილისი

## სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა და სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაფუძნების თაობაზე

**მუხლი 1**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, რეორგანიზებულ იქნეს სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**მუხლი 2**

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლისა და $10^1$ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყოს მის სტრუქტურაში შემავალი, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია და დაფუძნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია.

**მუხლი 3**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია ჩაითვალოს სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის უფლებამონაცვლედ.

**მუხლი 4**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ:

ა) განახორციელოს სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის სახელმწიფო კონტროლი;

ბ) უზრუნველყოს სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის უფლებამოსილი პირის დანიშვნა, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) უზრუნველყოს სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდების დამტკიცება და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 5**

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურაში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები ჩაითვალონ სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლებად ახალი საშტატო ნუსხის დამტკიცებამდე.

**მუხლი 6**

სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულმა ასტროფიზიკურმა ობსერვატორიამ უზრუნველყოს თანამშრომლების სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შტატით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობებზე გადაყვანა.

**მუხლი 7**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყონ რეორგანიზაციასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ამ დადგენილების ამოქმედებიდან 2 (ორი) თვის ვადაში.

**მუხლი 8**

1. ამ დადგენილების პირველი და მე-7 მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილების მე-2 – მე-6 მუხლები ამოქმედდეს 2019 წლის 24 ნოემბრიდან.

**პრემიერ - მინისტრი** **გიორგი გახარია**